სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №181

ქ.ზუგდიდი *16 მაისი, 2019 წელი.*

ერთი მხრივ, ***ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია***, წარმოდგენილი ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის, მერის მოვალეობის შემსრულებლის მაიზერ ნანავას სახით (შემდგომში - შემსყიდველი),

მისამართი: ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. №90
საიდენტიფიკაციო კოდი: №220418956
ტელეფონის ნომერი: +995 (0415) 25 01 23
საბანკო რეკვიზიტები: მიმღები ბანკი - სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი: TRESGE22
ანგარიშის ნომერი: GE24NB0330100200165022

და მეორე მხრივ, ***შპს „ზუგდიდექსპერტიზა“***, წარმოდგენილი დირექტორის ზურაბი ბერულავას სახით (შემდგომში - მომწოდებელი),

მისამართი: ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. №93
საიდენტიფიკაციო კოდი: № 220002128
ტელეფონის ნომერი: +995 555-14-11-12
საბანკო რეკვიზიტები: სს „ლიბერთი ბანკი“
ბანკის კოდი: LBRTGE22
ანგარიშის ნომერი: GE93LB0113140929712000

შემდგომში თითოეული ცალ-ცალკე წოდებული, როგორც „მხარე“, ხოლო ერთობლივად წოდებულნი, როგორც „მხარეები“,„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მოთხოვნის შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2019 წლის 28 მარტის №675 განკარგულების საფუძველზე, „ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილებების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 იანვრის №13 განკარგულების თანახმად, ვდებთ ამ ხელშეკრულებას (შემდგომში, ხელშეკრულების ტექსტში _ ხელშეკრულება) შემდეგზე:

მუხლი 1. შესყიდვის ობიექტის დასახელება და შესაბამისი CPV კოდი

1. ხელშეკრულების საგანია, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 იანვრის №13 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, 2019 წლის 8 თებერვლის №207 განკარგულების თანახმად, შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისაგან, ***ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების*** (შემდგომში, ხელშეკრულების ტექსტში _ მომსახურება) შესყიდვა (CPV კოდი: 71300000 - საინჟინრო მომსახურებები).
2. მიმწოდებელი ვალდებულებას კისრულობს გაუწიოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული მომსახურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, ხოლო შემსყიდველი ვალდებულებას კისრულობს აუნაზღაუროს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება, ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.

მუხლი 2. ხელშეკრულების ღირებულება

1. გასაწევი მომსახურების ღირებულება, მომსახურების სრულყოფილად გაწევასთან დაკავშირებული ყველა ხარჯისა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გათვალისწინებით შეადგენს: ***21700 (ოცდაერთი ათას შვიდასი)*** ლარს (შემდგომში, ხელშეკრულების ტექსტში _ ხელშეკრულების ღირებულება).

მუხლი 3. მომსახურების შესრულების ვადა და პირობები

1. მიმწოდებელმა მომსახურების გაწევა და შედგენილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიწოდება უნდა უზრუნველყოს ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში.
2. მიმწოდებელი უფლებამოსილია ვადადამდე ჩააბაროს დასრულებული (სრულყოფილი) საპროექტო დოკუმენტაცია, შემსყიდველთან შეთანხმებით.
3. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს პროექტირებას დაქვემდებარებულ თითოეულ კონკრეტულ ობიექტზე, მუნიციპალიტეტის მიერ მიმწოდებლისთვის გადაცემული დეტალური ტექნიკური დავალებითა და დასაპროექტებელი სამშენებლო ობიექტის შინაარსიდან გამომდინარე, ზოგადი ტექნიკური დავალებით (დანართი №2) გათვალისწინებული პირობებისა და საქართველოში მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების შესაბამისად.

4. დეტალური ტექნიკური დავალება მოიცავს, მომსახურების გაწევის ვადებს, დასაპროექტებელი ობიექტის დასახელებას, მის ადგილ-მდებარეობას, საპროექტო მომსახურების ძირითადი სახეობებს, პროექტით განსახორციელებელი სამშენებლო სამუშაოების ჩამონათვალს და მათ საორიენტაციო ღირებულებას.
5. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიწოდების ადგილია ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. №90, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული შენობა.

მუხლი 4. მიღება-ჩაბარების წესი

1. მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურება ჩაითვლება მიღებულად შპს „თი აი ეი ჯი აუდიტესკორტის“ ინსპექტირება/ზედამხედველობის ჯგუფის მიერ გაცემული ინსპექტირების ანგარიშის ან/და დასკვნის წარმოდგენის და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურის ინსპექტირების ჯგუფის მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
2. მომსახურების დასრულების შესახებ მიმწოდებელი დაუყოვნებლივ აცნობებს წერილობით შემსყიდველს და წარუდგენს დასრულებულ (სრულყოფილ) საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციას. საპროექტო დოკუმენტაცია ხელმოწერილი და დადასტურებული უნდა იყოს მხოლოდ მიმწოდებლის ან მის მიერ უფლებამოსილი პირის მიერ.
3. შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი დასრულებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღეში გადაუგზავნოს ინპექტირების/საზედამხედველო ორგანოს ინსპექტირებისათვის.
4. შემსყიდველი ვალდებულია ინსპექტირების/საზედამხედველო ორგანოს მიერ გაცემული ინსპექტირების დასკვნის წარმოდგენიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღეში შეამოწმოს წარმოდგენილი დოკუმენტაციების შესაბამისობა წინამდებარე ხელშეკრულებასა და ტექნიკურ დავალებასთან.
5. ინსპექტირება/საზედამხედველო ჯგუფის მიერ გამოვლენილი შეუსაბამობის აღმოფხვრას საკუთრი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი, საამისოდ აუცილებელ გონივრულ ვადაში. აღნიშნულის შეუსრულებლობა წარმოადგენს ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების დარღვევას.
6. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიღებას ახორციელებენ შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლები, რომლებიც მომსახურების მიღების შედეგების მიხედვით აფორმებენ მიღება-ჩაბარების აქტს.

მუხლი 5. ანგარიშსწორების წესი

1. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით, თანხის გადარიცხვის ფორმით მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე, რომელიც მითითებულია წინამდებარე ხელშეკრულებაში.
2. ანგარიშსწორებას შემსყიდველი განახორციელებს სრულყოფილი საპროექტო დოკუმენტაციის მიღების შემდეგ, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის, ინსპექტირების/საზედამხედველო ორგანოს დადებითი დასკვნის, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურის ინსპექტირების ჯგუფის ანგარიშის, საქართველოს კანონმდებლობით დაშვებული საგადასახადო დოკუმენტ(ებ)ისა (სასაქონლო ზედნადები ან/და საგადასახადო ანგარიშფაქტურა ან/და სხვა დოკუმენტები) და ანგარიშსწორების შესახებ წერილობითი მომართვის საფუძველზე 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

1. შემსყიდველი ვალდებულია:

   ა) უზრუნველყოს გაწეული მომსახურების მიღება და შესაბამისი ანაზღაურების გადახდა მიმწოდებლისათვის, წინამდებარე ხელშეკრულების პირობათა სრული დაცვით.
   ბ) განახორციელოს ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესრულებაზე კონტროლი.

2. შემსყიდველი უფლებამოსილია:

   ა) მიმწოდებლისგან მოითხოვოს მომსახურების გაწევა, ხელშეკრულებით დადგენილი პირობებითა და განსაზღვრულ ვადაში.
   ბ) წინამდებარე ხელშეკრულებით და ტექნიკური პირობებით დადგენილი წესებიდან და ნორმებიდან ნებისმიერი გადახვევის შემთვევაში არ მიიღოს გაწეული მომსახურება და დამრღვევი პირის მიმართ გამოიყენოს ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებობით გათვალისწინებული ზომები.
   გ) მიმწოდებელის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობათა შეუსრულებლობის შემთხვევაში შეწყვიტოს ხელშეკრულება.

3. მიმწოდებელი ვალდებულია:

   ა) ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში, ხელშეკრულებით დადგენილი პირობებით გასწიოს მაღალკვალიფიციური მომსახურება.
   ბ) მომსახურების ან მისი ნაწილის დასრულებისთანავე აცნობოს წერილობით შემსყიდველს.
   გ) შეასრულოს მომსახურება ჯეროვნად და კეთილსინდისიერად, სრული მოცულობით ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში.
   დ) საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს შემსყიდველის მიერ გამოვლენილი ყველა ნაკლისა და დეფექტის აღმოფხვრა, რომელიც გამოწვეულია გაწეული მომსახურებიდან.
   ე) დაუყოვნებლივ აცნობოს შემსყიდველს იმ მოსალოდნელ მოვლენებთან და გარემოებებთან დაკავშირებით, რომლებმაც შეიძლება უარყოფითად იმოქმედონ მომსახურების გაწევაზე.

ვ) დაუყოვნებლივ აცნობოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობისა ან/და ხელისშემშლელ დაბრკოლებათა შესახებ.
ზ) ხელშეკრულების შესრულების პერიოდში სუბკონტრაქტების დადების აუცილებლობის წარმოშობის შემთხვევაში, წერილობით აცნობოს შემსყიდველს, შესაბამისი თანხმობის მისაღებად.
თ) სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისას, საპროექტო დოკუმენტაციაში გამოვლენილი უზუსტობების ან/და შეუსაბამობები შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია, მუნიციპალიტეტის მიერ წერილობითი მიმართვიდან 5 სამუშაო დღის ვადაში, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის კორექტირება და კორექტირებული დოკუმენტაციის მუნიციპალიტეტისთვის მიწოდება.
ი) მიმწოდებელი ვალდებულია 5 სამუშაო დღის ვადაში გამოასწოროს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების პროცესში ან/და მისი დასრულების შემდგომ, ინსპექტირების შედეგად გამოთქმული შენიშვნები (საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში გამოვლენილი შეუსაბამობები ნორმატიულ-ტექნიკური დეკუმენტებთან და ტექნიკური დავალების მოთხონებთან) ან წარმოადგინოს მათზე არგუმენტირებული პასუხები.

4. მიმწოდებელი უფლებამოსილია:

ა) შემსყიდველისაგან მოითხოვოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულად და დროულად შესრულება.

მუხლი 7. უფლებების გადაცემა

1. მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

მუხლი 8. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე (ათი პროცენტი) მეტი ოდენობით გაზრდა.

მუხლი 9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

1. ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.
2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებლი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლის გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

მუხლი 10. შეტყობინება

1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ფაქსის ან ელექტრონული სახით (შემსყიდველის შემთხვევაში - zugdidismeria@gmail.com; მიმწოდებლის შემთხვევაში - zugdideqspertiza@gmail.com), ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, მეორე მხარის ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე.
2. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

მუხლი 11. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში, მხარეთ წინაშე წარმოშობილი დაბრკოლების გამო, ნაკისრი ვალდებულებების ვერ ან არაჯეროვნად შეუსრულებლობის საფრთხის შესახებ, მხარე ვალდებულია წერილობით აცნობოს მეორე მხარეს შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობისა და გამომწვევი მიზეზების შესახებ. ხოლო შეტყობინების მიმღები მხარე კი ასევე, დაუყოვნებლივ აცნობებს თავის გადაწყვეტილებას, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
2. იმ შემთხვევაში, თუკი ხელშეკრულების პირობების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელებაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

მუხლი 12. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა (პასუხისმგებლობა)

1. ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა ან/და დაგვიანებით შესრულება გამოიწვევს მის პასუხისმგებლობას, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.
2. მომსახურების დასრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, თუ სხვა ვადებს მხარეები არ შეათანხმებენ წერილობით, ყოველი დაგვიანებული დღისათვის მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო, შეუსრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.

3. მიმწოდებლის მიერ მომსახურების შესრულების ვადების 20 (ოცი) კალენდარულ დღეზე მეტი დღით გადაცდენის შემთხვევაში, თუ სხვა ვადებს მხარეები არ შეათანხმებენ წერილობით, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და დააჯარიმოს მიმწოდებელი შესასრულებელი (დარჩენილი) ვალდებულების შესაბამისი თანხის 10%-ის ოდენობით.
4. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს საჯარიმო თანხის გადახდა, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 20%-ის ოდენობით.
5. ხარვეზით შესრულებული მომსახურების შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია ნაკლოვანების აღმოჩენიდან, შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ საამისოდ აუცილებელ ვადაში, მიიღოს საჭირო ზომები ხარვეზის გამოსასწორებლად, ხოლო აღნიშნულის შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია არ გადაუხადოს მიმწოდებელს ხელშეკრულების ღირებულება და მოითხოვოს, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია გადაუხადოს შემსყიდველს ჯარიმა, შესასრულებელი (დარჩენილი) ვალდებულების შესაბამისი თანხის 10%-ის ოდენობით.
6. საჯარიმო სანქციების გადახდა უნდა მოხდეს შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.
7. წინამდებარე ხელშეკრულების მოცემული პუნქტებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.
8. პასუხისმგებლობის სხვა ფორმები, რაც არ არის გათვალისწინებული ამ ხელშეკრულებაში, განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით.

მუხლი 13. ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტა

1. შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების სრული ან ცალკეული პირობების მოქმედება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:
   ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია შეასრულოს მომსახურება ან მისი ნაწილი;
   ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება;
   გ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
   დ) მიმწოდებლის გადახდისუუნარობის ან გაკოტრების შემთხვევაში;
   ე) მიმწოდებლის მიერ სამუშაოების შესრულების ვადების 20 (ოცი) კალენდარულ დღეზე მეტი დღით გადაცდენის შემთხვევაში;
   ვ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
2. ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მხარეს ეცნობება წერილობით ხელშეკრულების (ან მისი ნაწილის) შეწყვეტამდე 3 (სამი) დღით ადრე მაინც, ამასთან უნდა მიეთითოს მიღებული გადაწყვეტილების საფუძველი და მისი ამოქმედების თარიღი.
3. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა, არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისგან.

მუხლი 14. ფორს-მაჟორი

1. ხელშეკრულების დამდები, რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან ან/და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ტვირთის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებებისა და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.
4. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობა ავტომატურად არ იწვევს ხელშეკრულების გაუქმებას. მხარეები ვალდებულნი არიან განსაზღვრონ წინამდებარე ხელშეკრულების ფორს-მაჟორულ მოვლენებთან მისადაგების საკითხი.
5. ფორს-მაჟორული გარემოებების შეწყვეტისთანავე მხარეები დაუყოვნებლივ აგრძელებენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.
6. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის პირობებში, ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, თუ მხარეთა შორის არ იქნა მიღწეული სხვაგვარი შეთანხმება.

7. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდება სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

მუხლი 15. დავების გადაწყვეტის წესი

1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართვენ სასამართლოს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 16. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლის, შესასრულებელი ან შესრულებული სამუშაოს მოცულობის, ხარისხისა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, სათანადო კონტროლისა და ტექნიკური ზედამხედველობის (ინსპექტირების) განხორციელებისა და ხელშეკრულების პირობების შესაბამისად მომსახურების შესრულების მიმდინარეობის საკითხებში მიმწოდებელთან ითანამშრომლებს, სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს _ აკრედიტაციის ცენტრში“ აკრედიტებული ინსპექტირების ორგანო _ შპს „თი აი ეი ჯი აუდიტესკორტი“ (აკრედიტაციის მოწმობა GAC-IB-0112), ზუგდიდის მუნიციპალიტეტთან 2017 წლის 25 აგვისტოს გაფორმებული №206 და N111 ხელშეკრულებისა და ტექნიკური დავალების საფუძველზე (შემდგომში, ხელშეკრულების ტექსტში _ ინსპექტირება/ზედამხედველობის ჯგუფი).
2. მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ის გაფორმებამდე, პროექტირების მიმდინარეობის პერიოდში ინსპექტირება/ზედამხედველობის ჯგუფი, განახორციელებს საპროექტო დოკუმენტაციაში მიღებული გადაწყვეტილებების, საქართველოში მოქმედ ნორმატიულ დოკუმენტებთან შესაბამისობის კონტროლს; საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციების ერთმანეთთან შესაბამისობის გადამოწმებას; ხარჯთაღრიცხვის ექპერტიზას; დასკვნის მომზადებას წარმოდგენილი პროექტით მშენებლობის განხორციელებასთან დაკავშირებით.
3. ინსპექტირების ჯგუფი, უფლებამოსილნი არიან შეამოწმონ გაწეული მომსახურება ან მისი ნაწილი, რათა განსაზღვრონ მათი შესაბამისობა ხელშეკრულების მოთხოვნებთან.
4. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთრი ხარჯებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით.
5. იმ შემთხვევაში, თუ ინსპექტირებისას გამოვლინდა წუნი ან/და ხარვეზი, მიმწოდებელი ვალდებულია, საკუთარი ხარჯებით, უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.
6. ინსპექტირების/ზედამხედველობის ჯგუფის მიერ დადასტურებული აქტის ან/და დასკვნის საფუძველზე სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ის გაფორმებას უზრუნველყოფს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის სამსახურის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო განყოფილება.

მუხლი 17. დასკვნითი დებულებანი

1. საკითხები, რომლებიც არ არის რეგულირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, წყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.
2. ხელშეკრულების დებულებებში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა შორის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, წერილობითი გაფორმების შედეგად.
3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ, ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე უფლების გამოუყენებლობა არ წარმოადგენს ამ უფლებაზე უარის თქმას.
4. ამ ხელშეკრულების რომელიმე პუნქტის (ან მისი ნაწილის) გაუქმება არ იწვევს დანარჩენი პუნქტების გაუქმებას.
5. მხარეთა შორის ნებისმიერი შეტყობინება საჭიროებს წერილობით ფორმას. მხარეთა შორის ზეპირი შეტყობინებები ან/და შეთანხმებები სადაოობის, ურწმონოების ან უზუსტობების შემთხვევაში იურიდიული ძალის არმქონეა.
6. მხარეები ვალდებულნი არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს, საქმიან რეპუტაციას და ღირსებას, დაიცვან ერთობლივი საქმიანობის შედეგად მათთვის ცნობილი მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია.
7. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 3 ოქტომბრამდე. თუ, ამ თარიღისათვის არ არის შესრულებული რომელიმე ვალდებულება ხელშეკრულება ავტომატურად გაგრძელდება მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების მომენტამდე.
8. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ერთ ელექტრონულ ფაილად.
9. ტექნიკური დავალება, ხარჯთაღრიცხვა, მომსახურების ფინანსური შესრულების გეგმა-გრაფიკი თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

დოკუმენტი მხარეთა მიერ დამოწმებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით ან/და კვალიფიციური ელექტრონული შტამპით.

შემსყიდველი	*მიმწოდებელი*
ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია	**შპს „ზუგდიდექსპერტიზა“**
zugdidi municipality city hall Digitally signed by zugdidi municipality city hall DN: cn=zugdidi municipality city hall, 2.5.4.97=NTRGE-220418956, o=••••••••••••••••••••••••••••••, c=GE Date: 2019.05.16 15:36:44 +04'00'	Zurab Berulava Подписано цифровой подписью: Zurab Berulava Дата: 2019.05.16 16:04:01 +04'00'

ტექნიკური დავალება

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა

პროექტი უნდა მოიცავდეს:

I. განმარტებითი ბარათი;

II. უწყისი;

1. სამუშაოთა მოცულობის კრებსითი უწყისი

III. მშენებლობის ორგანიზაცია:

1. ძირითადი მასალების ამონაკრები;
2. საჭირო ტექნიკის ჩამონათვალი;
3. მშენებლობის კალენდარული გრაფიკი;

IV. გრაფიკული ნაწილი:

1. გეგმა;
2. სიტუაციური გეგმა;
3. ჭრილები;
4. კვანძები;
5. პროექტი უნდა ითვალისწინებდეს: სან. კვანძების, გარე სეპტიკის, გარე საქვაბის და გათბობის მოწყობას.
7. შესასრულებელი სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა შეთანხმებულ იქნას შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენელთან.
8. საპროექტო დოკუმენტაციის შეთანხმება კავშირგაბმულობასთან, ენერგოკომპანიასთან, საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიასთან, გაზმომარაგების კომპანიასთან და სხვა საჭირო ორგანიზაციებთან.

V. ხარჯთაღრიცხვა:

1. სავარაუდო ხარჯთაღრიცხვა საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებითა და საბაზრო ფასების გათვალისწინებით. (აუცილებლობის შემთხვევაში მასალების ფასთა სხვაობის დროს ხარჯთაღრიცხვის კორექტირება).

VI. სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება.

VII. პროექტის ელექტრონული ვერსია (პროექტის ნაბეჭდი ვერსია 3 ეგზემპლარად).

VII. საპროექტო ზედამხედველობა.

X. შესრულებული საპროექტო დოკუმენტაციის წინასწარი განხილვა მოხდეს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიასთან, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე.

სარეაბილიტაციო სკოლების ჩამონათვალი

1	N5 საჯარო სკოლა	შიდა სველი წერტილების მოწყობა
2	N7 საჯარო სკოლა	შენობის გადახურვა, საწრეტების მილების მოწყობა, შიდა სველი წერტილების მოწყობა
3	ჭითაწყარის საჯარო სკოლა	შიდა სველი წერტილების მოწყობა (სამივე სართულზე)
4	ჯიხაშკარის N1 საჯარო სკოლა	შიდა სველი წერტილების მოწყობა
5	დარჩელის N2 საჯარო სკოლა	შიდა სველი წერტილების მოწყობა
6	ოდიშის N2 საჯარო სკოლა	შიდა სველი წერტილების მოწყობა, სააქტო დარბაზის შენობის გადახურვა
7	ორულუს საჯარო სკოლა	შიდა სველი წერტილების მოწყობა, სახურავის საწრეტი მილის მოწყობა
8	დიდინეძის საჯარო სკოლა	შიდა სველი წერტილების მოწყობა
9	ყულიშკარის საჯარო სკოლა	შიდა სველი წერტილების მოწყობა
10	კოკის საჯარო სკოლა	შენობის გადახურვა

დანართი №1

გასაწევი მომსახურების ხარჯთაღრიცხვა

№	გასაწევი მომსახურების დასახელება	მომსახურების ღირებულება (ლარი)
1	2	3
1	*ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება*	21700

შესასრულებელი მომსახურების (ფინანსური) გეგმა-გრაფიკი

მომსახურების შესრულების ვადა (კალენდარული დღე)	*მომსახურების ეტაპების თანმიმდევრობა*	*მომსახურების შესრულების პროცენტული მაჩვენებელი (%)*	*ფინანსური გეგმა-გრაფიკის ვადები*				
			ივნისი (2019)				
			სახელშეკრულებო ღირებულება: 21700 ლარი				
30	I	100%	*21700*				